შეტყობინება მესამე

ღმერთის სამსხვერპლოს – სრულადდასაწველი სამსხვერპლოს – ხელახლა აშენება

ადგილები წერილიდან: ლევ. 1:3-11, 13-14, 17; 6:9, 12ა, 13; რიცხ. 28:2; ეზრა 1:2-3, 5; 3:2-3, 6ა; ფსალ. 43:4ა; ეფეს. 5:2; რომ. 12:1

I. **„აუშენეს სამსხვერპლო ისრაელის ღმერთს მასზე სრულადდასაწველთა აღსავლენად, როგორც ეს მოსეს, ღმერთის კაცის, რჯულში იყო დაწერილი“ – ეზრა 3:2ბ:**

ა. სახლის აღსადგენად ჩვენთვის აუცილებელია სამსხვერპლოს აღდგენა – 1:2-3, 5; 3:2-3:

1. პირველი, რაც აუცილებელია, რომ აღდგეს ეკლესიური ცხოვრებისათვის, – არის სამსხვერპლო – რომ. 12:1:
   - ა) სანამ ჩვენ გვექნება ეკლესიური ცხოვრება, ჩვენ უნდა დავდოთ ყველაფერი სამსხვერპლოზე – ფსალ. 43:4ა.
   - ბ) ჩვენ უნდა დავდოთ ყველაფერი, რაც ჩვენ გვაქვს, ყველაფერი, რასაც ჩვენ წარმოვადგენთ, და ყველაფერი, რაც ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ, სამსხვერპლოზე ღმერთის დაკმაყოფილებისათვის; ეს არის დასაწყისი ეკლესიური ცხოვრებისა.
2. პრობლემა არის ის, რომ თუმცა ჩვენ დავბრუნდით ბაბილონიდან იერუსალიმში, იერუსალიმში ჩვენ, შესაძლოა, ჯერ კიდევ ვინარჩუნებთ მრავალ რამეს ჩვენი საკუთარი ინტერესებისათვის; ჩვენ არ მიგვაქვს ყველაფერი სამსხვერპლოზე ღმერთის ინტერესებისათვის და ღმერთის დაკმაყოფილებისათვის – რომ. 12:1:
   - ა) ჩვენ არ უნდა დავბრუნდეთ იერუსალიმში ისე, რომ ამასთან ერთად გავაგრძელოთ ისეთივე ცხოვრება, როგორიც გვქონდა ბაბილონში.
   - ბ) ცხოვრება იერუსალიმში უნდა იყოს აბსოლუტურად გადაცემული უფლის ინტერესებისათვის.

ბ. სრულადდასაწველის სამსხვერპლო არის წინასახე ქრისტეს ჯვრისა – გამ. 27:1; 40:6; ებრ. 13:10:

1. თავის სახლმშენებლობაში ღმერთი გვაძლევს ჩვენ ერთ პიროვნებას – ქრისტეს – და ერთ გზას – ჯვარს – 1 კორ. 2:2:
   - ა) ჯვარი არის ცენტრი ღმერთის მოქმედებისა მის სახლმშენებლობაში – გალ. 1:4; 2:19-21; 3:1, 13; 5:24; 6:14.
   - ბ) ღმერთი მართავს ყველაფერს ჯვრის მეშვეობით და წყვეტს ყველა პრობლემას ჯვრის მეშვეობით – კოლ. 1:20-22; 2:11-15.
2. ჯვარი არის საფუძველი, ნიადაგი, ყველა სულიერი განცდისა; ყველა სულიერი განცდა იწყება ჯვრით – გალ. 2:20; 6:14; 1 კორ. 2:2:
   - ა) სულიერი წარმატებისათვის ჩვენ გვჭირდება, რომ ყოველდღიურად გავიაროთ ჯვარი – მათე 10:38; 16:24; ლუკა 14:27.
   - ბ) თუ ჩვენ გვინდა, რომ გვქონდეს სათანადო ეკლესიური ცხოვრება, ჩვენ უნდა განვიცადოთ ჯვარი – ეფეს. 2:14-16.
   - გ) ჯვრის მეშვეობით ჩვენ გავხდეთ არაფერი, არაფერი არ უნდა გვქონდეს და არაფრის გაკეთება არ შეგვეძლოს; წინააღმდეგ შემთხვევაში ის, რასაც ჩვენ წარმოვადგენთ, ის, რაც ჩვენ გვაქვს, და ის, რაც ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ, გახდება ქრისტეს ჩანაცვლება – 1 კორ. 1:17-18, 23.

II. მათ „დაიწყეს იეჰოვასთვის სრულადდასაწველთა აღვლენა“ – ეზრა 3:6ა:

ა. სრულადდასაწველი აღნიშნავს, რომ ქრისტე მთლიანად გადაცემულია ღმერთის დაკმაყოფილებისათვის – ლევ. 1:3-9:

1. სრულადდასაწველი, რომელიც მთლიანად განკუთვნილი იყო ღმერთის დაკმაყოფილებისათვის, არის წინასახე ქრისტესი, როგორც ღმერთის კმაყოფილებისა და დაკმაყოფილებისა – ეფეს. 5:2.
2. სრულადდასაწველი არის წინასახე ქრისტესი არა მარტო იმ მნიშვნელობით, რომ ის ცხოვრობდა სიცოცხლით, რომელიც არის სრულყოფილი და მთლიანად გადაცემული ღმერთისათვის, არამედ იმ მნიშვნელობითაც, რომ ის არის სიცოცხლე, რომელიც საშუალებას აძლევს ღმერთის ხალხს, რომ იცხოვრონ ზუსტად ასეთივე ცხოვრებით – იოანე 5:19, 30; 6:38; 7:18; 8:29; 14:24; 2 კორ. 5:15; გალ. 2:19-21.
3. სრულადდასაწველი არის თვით ქრისტე, ხოლო ჩვენ ერთი ვართ მასთან, ამიტომ სრულადდასაწველი არის ასევე ჩვენი ერთობა ქრისტესთან – 1 კორ. 6:17.

ბ. სრულადდასაწველი განკუთვნილია ღმერთისათვის საკვებად, რათა ღმერთი დატკბეს მისით და დაკმაყოფილდეს – რიცხ. 28:2:

1. მიუხედავად იმისა, რომ ღმერთი ყოვლისშემძლეა, მას არ შეუძლია მისცეს თავის თავს საჭმელი; მისი საჭმელი უნდა მივიდეს მასთან მისი ხალხისაგან – მუხ. 2.
2. ღმერთის საკვები არის ქრისტე, მაგრამ ის არ არის ღმერთის საკვები პირდაპირი მნიშვნელობით; ქრისტე არის ღმერთის საკვები, რომელიც მიგვაქვს ჩვენ ღმერთთან.

გ. ებრაული სიტყვა, ნათარგმნი როგორც „სრულადდასაწველი“, სიტყვასიტყვით აღნიშნავს „ის, რაც წამოიმართება“ და ნიშნავს რაღაცას, რაც ადის ღმერთთან; ეს ასვლა მიეკუთვნება ქრისტეს – ლევ. 1:3, 10, 14:

1. ერთადერთი, რაც შეიძლება ავიდეს ღმერთთან დედამიწიდან, არის სიცოცხლე, რომლითაც ცხოვრობდა ქრისტე, ვინაიდან ის არის უნიკალური პიროვნება, რომელიც ცხოვრობს აბსოლუტურად ღმერთისათვის გადაცემული სიცოცხლით – იოანე 6:38:
   ა) ქრისტე, როგორც ჩვენი სრულადდასაწველი, არის მთლიანად ღმერთისათვის, აბსოლუტურად გადაცემულია ღმერთისათვის – 4:34; 5:30; ებრ. 10:8-10.
   ბ) ყველაფერი, რაც იყო უფალი იესო, ყველაფერს, რასაც ის ლაპარაკობდა, და ყველაფერი, რასაც ის აკეთებდა, იყო აბსოლუტურად ღმერთისათვის მიცემული – იოანე 6:38; 5:17, 36, 43; 8:28; 10:25; 12:49-50.
2. როდესაც ჩვენ ხელებს ვადებთ ქრისტეს როგორც სრულადდასაწველს, ჩვენ ვუერთდებით მას – ლევ. 1:4; 1 კორ. 6:17.
3. როდესაც ქრისტე ცხოვრობს ჩვენში, ის იმეორებს ჩვენში იმ სიცოცხლეს, რომლითაც ცხოვრობდა დედამიწაზე, – სრულადდასაწცელის სიცოცხლეს – გალ. 2:20.

დ. სრულადდასაწველი არის „იეჰოვას დამაკმაყოფილებელი კეთილსურნელება“ – ლევ. 1:9, 13, 17:

1. ებრაული გამოთქმა, ნათარგმნი როგორც „დამაკმაყოფილებელი კეთილსურნელება“, სიტყვასიტყვით ნიშნავს „მოსვენების ანუ დაკმაყოფილების არომატს“ – მუხ. 9.

2. დამაკმაყოფილებელი კეთილსურნელება არის არომატი, რომელსაც მოაქვს დაკმაყოფილება, მშვიდობა და მოსვენება; ასეთი დამაკმაყოფილებელი კეთილსურნელება არის ტკბობა ღმერთისათვის.
3. ვინაიდან ქრისტე ცხოვრობდა ცხოვრებით, რომელიც იყო აბსოლუტურად ღმერთის დაკმაყოფილებისათვის, მისი ცხოვრება იყო დამაკმაყოფილებელი კეთილსურნელება, ტკბილი არომატი, ღმერთთან აღმავალი, მისი სიამოვნებისა და დაკმაყოფილებისათვის – ეფეს. 5:2.

III. პირველი შესაწირავი, რომელზეც საუბარია ლევიანთა წიგნში, არის არა შესაწირავი ცოდვისათვის და არა შესაწირავი დანაშაულისათვის, არამედ სრულადდასაწველი – 1:3:

ა. ჩვენ გვჭირდება ქრისტე, პირველ რიგში, როგორც ჩვენი სრულადდასაწველი, რადგან ჩვენი თავდაპირველი მდგომარეობა ღმერთის წინაშე, ჩვენი პირველი პრობლემა ღმერთთან, დაკავშირებულია არა დანაშაულებთან, არამედ იმასთან, რომ ჩვენ არ ვართ ღმერთისათვის:
1. ღმერთმა შეგვქმნა ჩვენ, რომ ჩვენ გამოვხატოთ ის და წარმოვადგინოთ ის – დაბ. 1:26.
2. ღმერთმა შეგვქმნა ჩვენ, რათა ვიყოთ მისთვის; მან შეგქმნა ჩვენ არა ჩვენთვის, მაგრამ ჩვენ, დაცემული ადამიანები, ვცხოვრობთ ჩვენთვის, და არა მისთვის.

ბ. სრულადდასაწველი ნიშნავს, რომ ჩვენ, ვინც შექმნილი ვართ ღმერთის მიერ იმ მიზნით, რომ გამოგვეხატა და წარმოგვედგინა ღმერთი, უნდა ვიყოთ მხოლოდ ღმერთისათვის, და არა რაღაც სხვისთვის – მუხ. 27-28; შდრ. ფსალ. 73:25; მარკ. 12:30.

გ. ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ ჩვენ არა ვართ აბსოლუტურად გადაცემული ღმერთისათვის და რომ ჩვენ თვითონ ჩვენ არ შეგვიძლია ვიყოთ აბსოლუტურები, ამიტომ ჩვენ უნდა მივიღოთ ქრისტე როგორც ჩვენი სრულადდასაწველი – ლევ. 1:3-4.

IV. ვიცხოვროთ მუდმივი სრულადდასაწველის ცხოვრებით – ნიშნავს, რომ ვიყოთ ცოცხალი მსხვერპლი – რომ. 12:1:

ა. სრულადდასაწველი არის წინასახე ჩვენი მიძღვნისა, ჩვენ მიერ ჩვენი თავის ღმერთთან მიტანისა ცოცხალ მსხვერპლად; მიძღვნის მნიშვნელობა არის ის, რომ მივუტანოთ ჩვენი თავი ღმერთს ცოცხალ მსხვერპლად – ლევ. 1:3-4, 8-9; 6:9, 12ა, 13; რომ. 12:1.

ბ. ყოველდღიური სრულადდასაწველი ძველ აღთქმაში არის წინასახე იმისა, რომ ახალ აღთქმაში ჩვენ, მათ, ვინც ვეკუთვნით ღმერთს, ყოველდღიურად უნდა მივუტანოთ ჩვენი თავი ღმერთს – რიცხ. 28:3-8.

გ. დღეს ჩვენს ქრისტიანულ ცხოვრებასა და ეკლესიურ ცხოვრებაში აუცილებელია მუდმივი სრულადდასაწველი – ლევ. 1:3-4, 8-9; 6:9, 12ა, 13.

V. ჩვენ თაყვანი უნდა ვცეთ ღმერთ მამას ქრისტეს, როგორც სრულადდასაწველის, მეშვეობით, ღმერთის დაკმაყოფილებისათვის, რათა აღვასრულოთ მისი სურვილი – 1:3, 9ბ; რიცხ. 28:2; იოანე 4:23-24:

ა. ღმერთს უნდა, რომ ჩვენ თაყვანი ვცეთ მას ქრისტეს, როგორც ყველა შესაწირავის სინამდვილის, მეშვეობით; შესაწირავები განკუთვნილია იმისათვის, რომ ვასიამოვნოთ ღმერთს და გავხადოთ ის ბედნიერი – მუხ. 23-24.

ბ. სათანადო თაყვანისცემა დაკავშირებულია იმასთან, რომ დავაკმაყოფილოთ ღმერთი ქრისტეს, როგორც სრულადდასაწველის, მეშვეობით – 1 პეტ. 2:5; იოანე 4:34; 5:30; 8:29:

1. როდესაც ჩვენ თაყვანს ვცემთ მამას ქრისტეს, როგორც სრულადდასაწველის, მეშვეობით, ღმერთთან ადის მისთვის მოსაწონი კეთილსურნელება მისი დაკმაყოფილებისათვის – ლევ. 1:9; იოანე 4:23-24.
2. ვინაიდან ღმერთი იღებს დაკმაყოფილებას იმისაგან, რომ ჩვენ მიგვაქვს მისთვის ქრისტე, როგორც სინამდვილე სრულადდასაწველისა, ის გვიღებს ჩვენ ტკბილად; ასეთია სრულადდასაწველის მნიშვნელობა – რიცხ. 28:2.